შპს „ვ ა გ ი“

ს/კ 412758957 ; ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №139, ბ.41 ; ტელ.: 5 95 92 75 77 ; E-mail: gvinepadzefridoni@gmial.com

„–21–„ „–სექტემბერი–„ 2022 წელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ შპს გელათი-2007 -საგან 2021 წლის 28 აპრილს შევიძინეთ ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო, მდებარე ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ზეინდარში, ჩვენს მიერ წარმადობის გაზრდის მიზნით განხორციელდა მძლავრი ვიბროცხავის დამონტაჟება, როტორული სამსხვრევის კონუსურით ჩანაცვლება და ლენტური ტრანსპორტიორების რაოდენობის გაზრდა. ასევე, საკუთარი მოხმარებისათვის ტერიტორიაზე განთავსებულია 20 000 ლ ტევადობის დიზელის ავზი და საჩამომსხმელო სვეტი, რომელიც არ იყო გათვალისწინებული „გელათი 2007“-ის ინვენტარიზაციის ტექნიკურ ანგარიშში.

რაგდან, ობიექტი შედის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.1. და 6.3. პუნქტებში, ჩვენს მიერ მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი, რომელიც 2022 წლის 14 იანვარს წარმოდგენილი იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

სამინისტროს 10/02/2022 წლის N1277/01 წერილით მოთხოვნილი იქნა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა და ცალკეული საკითხების დაზუსტება.

ამასთან სკრინინგის პროცედურის გარეშე საქმიანობისათვის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონალური სამმართველოს მიერ, კომპანიის მიმართ, შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისს ოქმი N06599 (22.12.2021), რაზედაც იმსჯელა ვანის მაგისტრატმა სასამართლომ.

სამინისტროს შენიშვნების გათვალისწინებით და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად კომპანიის მიერ შემუშავებული იქნა სკრინინგის განაცხადი, როელიც წარდგენილი იქნა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

სააგენტოს 15/06/2022 წლის N21/2581 წერილით, სააგენტოს მიერ შეწყდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება, ცალკეული საკითხების დაზუსტებისა და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის საჭიროების გამო. აღნიშნულის გათვალისწინებით გაახლებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

სააგენტოს N 21/5184 13/09/2022 წერილით ისევ გამოგვეგზავნა შენიშვნები, საკითხების დაზუსტების მიზნით, რომლის შესაბამისადაც ისევ დაკორექტირდა სკრინინგის განაცხადი.

წარმოგიდგენთ, ზემოაღნიშნულ სკრინინგის განაცხადს. გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი: სკრინინგის განაცხადი და ელ. ვერსია;

shp- ფაილები;

პასუხები სააგენტოს 21/5184 13/09/2022 წერილით გამოგზავნილ შენიშვნებზე.

პატივისცემით

ოთარ ჩიხლაძე

მინდობილი პირი

ს.ს.ი.ს. გარემოს ეროვნული სააგენტო
„22“ 09 2022 წ.
№ 5024